რავენას დოკუმენტი და უკრაინის საკითხი, როგორც ეკლესიოლოგიური კატალიზატორი

მღვდელ-მონაზონი ლეონიდე ებრალიძე

უკრაინაში მართლმადიდებელ ეკლესიას ათასწლოვანი ისტორია აქვს და ამ ისტორიაშივე იძებნება ავტოკეფალისტური მოძრაობის ფესვებიც, მაგრამ დღეს ჩვენ არ ვისაუბრებთ ამ ისტორიაზე, არამედ შევეცდებით საღვთისმეტყველო ჭრილში წავიკითხოთ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო საპატრიარქოსა და მოსკოვის ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობა, რომლის ერთ-ერთი მწვავე ფაზაც უკრაინაზე გადის.

2018 წლის 20 აპრილს მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდმა განაცხადა უკრაინის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების პროცესის დაწყების შესახებ[1]. ამ მომენტიდან ვხდებით მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის მზარდი დაძაბულობის მოწმენი.

ამავე წლის 14 სექტემბერს მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდმა გადაწყვიტა შეეწყვიტა მსოფლიო პატრიარქის მოხსენიება საღმრთო ლიტურგიისას[2]. მართლმადიდებელ ეკლესიაში ჟამის-წირვაზე ეკლესიის მეთაურთა მიერ ერთმანეთის მოხსენიებას აქვს თანაზიარების (*koinonìa*) მნიშვნელობა და წარმოადგენს რწმენასა და საეკლესიო საიდუმლოებებში ერთობის გამოხატვის საშუალებას. გარდა ამისა, მსოფლიო პატრიარქის მიერ 1589 წელს გაცემული საპატრიარქო ტიტულის ბოძების სიგელის საფუძველზე, მოსკოვის პატრიარქი ვალდებულია ყველა ლოცვისას მოიხსენოს კონსტანტინოპოლის პატრიარქი და სხვა

[1] იხ., მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდის კომუნიკე: “Communiqué of the Holy and Sacred Synod (04.22.2018)”, <https://www.patriarchate.org/-/anakoinothen-tes-agias-kai-ieras-synodou-22-04-2018-> [09.02.2019].

[2] იხ., მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდის სხდომის ოქმი: “Определения Священного Синода, Журнал № 69”, Журнал Московской Патриархии 9 (2018), 7.

პატრიარქების მსგავსად, პატივი მიაგოს მსოფლიო საპატრიარქოს საყდარს, როგორც თავს[3].

გარდა მსოფლიო პატრიარქის მოხსენიების შეწყვეტისა, მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდმა სპეციალურ მიმართვაში მსოფლიო პატრიარქს ბრალი დასდო მართლმადიდებელი ეკლესიოლოგიის დაბინძურებაში[4]. რუსი მღვდელმთავრები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო პატრიარქს, როგორც *Primus inter pares*, არა აქვს უფლება, ავტოკეფალია მიანიჭოს უკრაინის ეკლესიას. მათი აზრით, მხოლოდ ყოველი ახალი ეკლესიის დედა ეკლესიას უნდა ჰქოდეს ასეთი უფლება, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კი ამ აქტის *post factum* აღიარება უნდა ევალებოდეს.

აქედან მოყოლებული, მოსკოვის საპატრიარქოს ზოგიერთმა წარმომადგენელმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან მიმართებით დაიწყო ისეთი მწვავე ტერმინების გამოყენება, როგორიც არის „ერესი“ და „სქიზმა“. შესაძლოა, ეს ტერმინები, მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორ ალექსეი ოსიპოვის მიერ გამოყენებულნი, არც მომხვდარიყო საერთო ყურადღების არეალში, სხვადასხვა ინტერვიუსა და განცხადებაში მისი

---

[3] “Ἰὼβ πατριάρχης ...] χρεωστῶν μνημονεύειν ἡμῶν τοῦ ὀνόματος καὶ τῶν λοιπῶν, καὶ κεφαλὴν αὐτοῦ καὶ πρῶτον ἔχειν καὶ νομίζειν τὸν ἀποστολικὸν θρόνον Κωνσταντινουπόλεως, ὡς καὶ οἱ λοιποὶ ἔχουσι πατριάρχαι”. იხ., Regel W., Analecta Byzantino-Russica, Petropoli 1891, 85-87. იმავე შინაარსის ციტატას ვხვდებით უკრაინის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ბოძების ტომოსშიც: “Προσεπιδηλοῦμεν τοῖς ἀνωτέρω ὅτι ἡ ἐν Οὐκρανίᾳ Αὐτοκέφαλος Ἐκκλησία γινώσκει ὡς κεφαλὴν τὸν Ἁγιώτατον Ἀποστολικὸν καὶ Πατριαρχικὸν Οἰκουμενικὸν Θρόνον, ὡς καὶ οἱ λοιποὶ Πατριάρχαι καὶ Προκαθήμενοι”. უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად მოსკოვის საპატრიარქოსათვის გადაცემულ ტომოსში არსებული ციტატისა, მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლები უკრაინის ტომოსში არსებულ იმავე შინაარსის ციტატაზე დაყრდნობით ცდილობენ დაამტკიცონ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის არასრულფასოვნება და და კონსტანტინოპოლის სწრაფვა მსოფლიო საეკლესიო ძალაუფლებისაკენ.

[4] იხ., მოსკოვის წმინდა სინოდის განცხადება: “Заявление Священного Синода Русской Православной Церкви в связи с незаконным вторжением Константинопольского Патриархата на каноническую территорию Русской Православной Церкви”, Журнал Московской Патриархии, 9 (2018), 8-12.

გამოყენება რომ არ დაეწყო მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარეს[5].

მიტროპოლიტი ილარიონი მსოფლიო პატრიარქს ბრალს სდებს „პაპიზმის ერესში“ და ეს გამოთქმა მისი ლექსიკისათვის იმდენად სახასიათო გახდა, რომ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ბერძნული წარმოშობის ღვთისმეტყველის, გიორგი დემაკოპულოსის გამოხმაურება. 2018 წლის 19 სექტემბერს მან საჯარო წერილით უპასუხა მიტროპოლიტ ილარიონს და შეახსენა, რომ მის მიერ ნახმარი გამოთქმა – „პაპიზმის ერესი“ პირველად იმ პატარა მეძველსტილე ჯგუფებმა გამოიყენეს, რომლებსაც არ სურდათ კალენდართან დაკავშირებით საეკლესიო იერარქიის გადაწყვეტილებას დამორჩილებოდნენ და უხერხულია ამ სიტყვების მოსმენა თავად საეკლესიო იერარქიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლისაგან, რომელსაც მაღალი დონის ღვთისმეტყველის სახელიც აქვს[6].

სამწუხაროდ, კონტროვერსია აქ არ მთავრდება.

2018 წლის 15 ოქტომბერს, მინსკში გამართული სინოდის სხდომისას, მოსკოვის საპატრიარქომ გადაწყვიტა სრულად შეწყვიტა ევქარისტიული კავშირი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან[7], ანუ რუსეთის ეკლესიის იერარქებს, კლიროსსა და ერს აეკრძალა კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენლის მიერ აღსრულებულ საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა.

---

[5] იხ., მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის 2018 წლის 15 სექტემბრის ინტერვიუ: “Митрополит Иларион: Константинополь вторгся на каноническую территорию Русской Православной Церкви с целью еще более углубить раскол”, <https://mospat.ru/ru/2018/09/15/news163844/> [09.02.2019].

[6] იხ., დემაკოპულოსი გ., „პაპიზმის ერესი“, <http://www.orthodoxtheology.ge/demacopoulospapism/> [09.02.2019]

[7] იხ., მოსკოვის წმინდა სინოდის განცხადება: “Заявление Священного Синода Русской Православной Церкви в связи с посягательством Константинопольского Патриархата на каноническую территорию Русской Церкви”, Журнал Московской Патриархии, 10 (2018), 6-9.

ოქტომბრის თვის სინოდის სხდომის თავმჯდომარეობისათვის მინსკში ჩასულმა პატრიარქმა კირილემ ჟურნალისტებს განუცხადა: *„[წმინდა სინოდის სხდომაზე] ჩვენ მოგვიწევს გადაწყვეტილების მიღება მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის, მართლმადიდებელი ეკლესიბის ოჯახში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე“*[8].

შესაძლოა, სწორედმ ამ მოკლე კომენტარში გამოყენებული გამოთქმა – *„მართლმადიდებელი ეკლესიების ოჯახი“* წარმოადგენდეს გასაღებს არსებული სიტუაციის საღვთისმეტყველო ანალიზისათვის, რადგანაც, შეიძლება ითქვას, რომ ამ ფორმულაში ხდება რუსეთის ეკლესიის ოფიციოზის ეკლესიოლოგიური ხედვის კრისტალიზაცია, რაც გულისხმობს ავტოკეფალიის ფენომენის გაგებას სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოდელით. ეს ფორმულა თავის თავში შეიცავს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობის საერთაშორისო ორგანიზაციად წარმოდგენის საშიშროებას, რომელიც შედგება საერთო ინტერესებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული წევრებისაგან და სადაც ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ყველაზე მსხვილი და გავლენიანი წევრი.

ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციის ეს მოდელი მეტნაკლებად ფუნქციონირებს და რელატიურად საერთოა თითქმის ყველა ე.წ. სეკულარული (ან სამოქალაქო) ორგანიზაციისათვის, მაგრამ ეკლესია არ არის სეკულარული ორგანიზაცია და სამოქალაქო საზოგადოების წესებს არ ხელეწიფებათ მისი სტრუქტურის განსაზღვრა. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობა არ არის დამოკიდებული ადგილობრივ ეკლესიათა 15 მეთაურის ურთიერთსიმპათიასა და მათ შორის არსებულ პოზიტიურ დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

ეკლესია ითვალისწინებს, შეიძლება ითქვას, თანამშრომლობს კიდეც კონკრეტულ პოლიტიკურ და ისტორიულ რეალობებთან, მაგრამ, ამავე დროს, თავისი სწავლებით არ ექვემდებარება მათ.

---

[8] იხ., პატრიარქ კირილეს კომენტარი მინსკის საერთაშორისო აეროპორტში: “Святейший Патриарх Кирилл прибыл в Минск”, <https://www.youtube.com/watch?v=t8SkX0NYcdI> [09.02.2019].

ამ პერსპექტივაში მართლმადიდებლობა, ერთი მხრივ, წარმოგვიდგება სახელმწიფოსა და ეროვნულობასთან ინტიმურად დაკავშირებულ რეალობად, მაგრამ, მეორე მხრივ, ის წარმოადგენს „*ანარქიულ*“ და „*ანაქრონიულ*“ მყოფობას გეოპოლიტიკურ რეალობებთან მიმართებით, რადგანაც თავის სტრუქტურაში რჩება ერთგული იმ ცოცხალი ტრადიციისა და მსოფლიო საეკლესიო კრებების პრინციპებისა, რომლებიც კონსტანტინოპოლის საყდარს ანიჭებენ პირველობას, სანამ მოხდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდი შერიგება და მეორე ათასწლეულში დაკარგული რომის პირველობის მართლმადიდებელი ეკლესიოლოგიის პრინციპებსა და საერთო თანხმობაზე დაფუძნებული აღიარება.

ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ ეკლესიაში მორწმუნეთა რიცხვსაც და პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკურ გავლენასაც თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როდესაც საუბარი გვაქვს თავად მის სტრუქტურაზე, ამ ფაქტორებს არ შეუძლიათ განსაზღვრონ მისი ორგანიზაცია.

ამდენად, მართლმადიდებელი ეკლესია არ არის ადგილობრივი ეკლესიების კონსორციუმი, არც რაიმე დაჯგუფება და არც ოჯახი ეკლესიებისა. მისი თანამეგობრობად წარმოდგენა შეიცავს ეკლესიის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, ფრაგმენტაციისა და მასში სიმყიფის შეტანის მცდელობის საფრთხეს, რაც თავისთავად ეკლესიის ონტოლოგიური ბუნების წინააღმდეგ წასვლის მცდელობაა, რადგან მისი ბუნების ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენენ *ერთობა* და *კათოლიკეობა*, გადმოცემული ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოში, რომელსაც ლიტურგიისას ყოველდღიურად წარმოთქვამს მართლმადიდებელ მორწმუნეთა თემი[9].

---

[9] ის ფაქტი, რომ ეკლესიის ერთობა დაურღვეველია, კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული და დამოწმებული კრეტის წმინდა და დიდი კრების დოკუმენტებშიც, რაც განსაკუთრებით არის ხაზგასმული დოკუმენტში – „მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან“, რომლის პირველივე მუხლი იწყება მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ თავის გაცხადებით ერთ, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიად, მე-6 მუხლი კი ცალსახად ამბობს: „ეკლესიის ონტო-

ეკლესია არ წარმოადგენს ისტორიის მსვლელობით განსაზღვრულ მყოფობას, «*მისი რეალური იდენტობა არის მომავალის გაზიარება, ამიტომ მისმა სტრუქტურამ უნდა განაცხადოს ესქატონი, საიდანაც მომდინარეობს თავად ეკლესია*»[10], შესაბამისად, „მრწამსი“ მისი თვისებების აღსარებისას გამოთქვამს არა მისი ორგანიზაციის სხვადასხვა, ადგილობრივ, რეგიონულ და უნივერსალურ (მსოფლიო) დონეს ან სტრუქტურის წმინდად ადმინისტრაციულ ელემენტებს, არამედ მისი ბუნების ძირითადად მახასიათებლებს, რომლებიც ეკლესიის ესქატოლოგიური მყოფობის სიმფონიას გამოხატავენ: „*ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო*“ (*μίαν, Ἁγίαν, Καθολικὴν καὶ Ἀποστολικὴν*). საინტერესოა, რომ სარწმუნოების სიმბოლოს საეკლესიო-სლავურ თარგმანში, რომელსაც რუსეთის ეკლესია იყენებს, ეკლესიის ონტოლოგიური ბუნების მახასიათებელთაგან ერთ-ერთი, *კათოლიკეობა*, დაკარგულია და ჩანაცვლებულია არა ონტოლოგიური, არამედ ორგანიზაციული მნიშვნელობის მქონე ტერმინით “*Соборную” („კრებსითი“)*. ეს პრობლემური თარგმანი ხშირად სცდება ფილოლოგიურ დისკურსს და საღვთისმეტყველო აზროვნებაზეც აისახება.

მეტი სიცხადისათვის, უნდა დავაზუსტოთ, რომ გამოთქმა „მართმლადიდებელ ეკლესიათა ოჯახი“ შეიცავს საფრთხეს, რომ ეკლესიის ორგანიზების ერთ-ერთი დონე, კერძოდ, რეგიონული, იქცეს იმაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად, ვიდრე მისი კათოლიკეობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ *ერთი* და *კათოლიკე* ეკლესია ორგანიზაციულად წარმოდგენილია ადგილობრივ ეკლესიაში, რეგიონულ ეკლესიასა და უნივერსალურ ეკლესიაში, ორაზროვანი ფორმულა – „ეკლესიათა ოჯახი“ გვაყენებს საფრთხის წინაშე, დავინახოთ ეკლესია სისავსით გამოთქმული მხოლოდ მისი რეგინული მოწყობის დონეზე და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეკლესიის ერთობა უნივერსალურ დონეზე დამოკიდებულია რეგი-

---

ლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, მისი [ეკლესიის] ერთობა შეუძლებელია ოდესმე დაირღვეს“.

[10] Zizioulas I., Lectures in Christian Dogmatics, London-New York, 2008, 139.

ონულ ეკლესიათა შორის არსებულ თავისუფალ და კეთილ-განწყობილ თანხმობაზე, რამდენადაც, თავის მხრივ, რეგიონული ეკლესიები აბსოლუტურად თვითკმარებად მოიაზრებიან. ეკლესიოლოგიური რეგიონალიზმი კი შეიცავს ნაციონალიზმის (ეთნოფილეტიზმის) საფრთხესაც. ამასთან დაკავშირებით ნ. ლოსკი სამართლიანად შენიშნავს გასული საუკუნის რუსული ეკლესიოლოგიური ღვთისმეტყველების სავარაუდო დეფექტს: *«[ნიკოლოზ აფანასიევის ღვთისმეტყველებიდან] მომდინარეობს ეკლესიოლოგიური იდეა, რომ ყველა ავტოკეფალური ეკლესია დეფინიციით არის ლოკალური ეკლესია, და რადგანაც სრულიად ავტონომიურია, ამიტომ მას არ აქვს სხვების საჭიროება და ცხოვრობს ინდივიდუალური ცხოვრებით [...] და-ეკლესიებს შორის არსებული ურთიერთობები ხშირად ემსგავსებიან სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ნაციონალიზმის დიდი დოზა ერევა ამ დამოუკიდებლობის კონცეპტს»*[11].

ობიექტურობისთვის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე არსებობს საღვთისმეტყველო დებატი ეკლესიაში ლოკალურისა და უნივერსალურის ურთიერთმიმართების შესახებ. მაგ., ნიკოლაი აფანასიევი, იოანე მეიენდორფი და ვალტერ კასპერი მიიჩნევდნენ, რომ საღვთისმეტყველო და ისტორიული თვალსაზრისით, ლოკალური ეკლესია უნივერსალურზე წინ დგას, ამის საპირისპიროდ, რაცინგერი ხაზს უსვამს უნივერსალურის წინსწრებას. შეიძლება ითქვას, რომ ზიზიულასი სრულიად განსხვავებულ, სინთეზურ ხედვას ემხრობა: ლოკალური არის უნივერსალურის კონკრეტიზაცია – ერთის არსებობისთვის აუცილებელია მეორე და ორივე მათგანი თანაბარად მნიშვნელოვანია, ანუ უნივერსალურსა და ლოკალურს შორის არ არსებობს თვითწინააღმდეგობრიობა[12].

---

[11] Lossky N., “Conciliarità-Primato. Un punto di vista ortodosso russo”, in: Studi Ecumenici 13 (1999), 138.

[12] იხ., Crisan A. M., Persona e comunione nel pensiero teologico di Ioannis Zizioulas e nei documenti del Concilio di Creta del 2016, Roma 2018, 25-26.

ყოველი ეკლესია, შემოკრებილი ეპისკოპოსის, როგორც ქრისტეს ხატის, გარშემო, არის ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის, მყოფობა, როგორც ევქარისტიული პურის ყოველი ნამცეცი არის არა ქრისტეს ისტორიული სხეულის რომელიმე ორგანო, არამედ მთლიანად ქრისტეს მყოფობა, მაგრამ ამავე დროს ისიც ფაქტობრივი მოცემულობაა, რომ თითოეული ეს ნამცეცი არის ერთი, მთლიანი ევქარისტიული პურის ნაწილი, ისევე, როგორც ქრისტეს სისავსით მყოფობა ყოველ ეკლესიაში არ გამორიცხავს, რომ ეს უკანასკნელი იყოს ნაწილი *ერთი* და *კათოლიკე* საეკლესიო რეალობისა, პირიქით, ამას ნიშნავს კიდეც, რადგან ყველაფერი ის, რაც იმყოფება თანაზიარებაში (*koinonìa*) შეუძლებელია იყოს თვითკმარი და თვითრჯული.

ხედვა, რომელსაც ჩვენ „რეგიონალიზმს“ ვუწოდებთ, რუსულ საეკლესიო წრეებში უკანასკნელ პერიოდში, უკრაინის საეკლესიო საკითხის ირგვლივ არ შემუშავებულა. ამ იდეოლოგიას აქვს თავისი ისტორია, რომლის ეპოქალურ ეტაპსაც წარმოადგენს რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის რეაქცია რავენაში 2007 წლის 13 ოქტომბერს, კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა მიერ მიღებულ დოკუმენტზე, სახელწოდებით – „ეკლესიის საკრამენ-ტული ბუნების ეკლესიოლოგიური და კანონიკური შედეგები – საეკლესიო თანაზიარება, კრებსითობა და ავტორიტეტი“[13].

დასახელებული დოკუმენტი *მართლმადიდებელ და კათოლიკე ეკლესიებს შორის საღვთისმეტყველო დიალოგის შერეული საერთაშორისო კომისიის* მრავალწლიანი შრომის ნაყოფია, სადაც განხილულია მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიოლოგიის საერთო ხედვის პუნქტები, რაც გულისხმობს იმას, რომ ორივე ეკლესიოლოგიური ხედვის თანახმად, ეკლესიის ორგანიზებას აქვს სამი დონე: *ადგილობრივი, რეგიონული და უნივერსალური (მსოფლიო),* შესაბამისად, თითოეულ მათგანზე არსებული პრიმატით.

---

[13] იხ., “Conséquences ecclésiologiques et canoniques de la nature sacramentelle de l'Eglise - communion ecclésiale, conciliarité, et autorité”, in: Irénikon 80 (2007), 579-597.

სანამ რავენაში შერეული საღვთისმეტყველო კომისია დასახელებულ დოკუმენტზე მუშაობდა, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა, ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი პროტესტის ნიშნად, დატოვეს შეხვედრა [14], მაგრამ მალევე გაცხადდა ამ პროტესტის საღვთისმეტყველო მოტივიც. 2007 წელს შექმნილმა რუსულმა საღვთისმეტყველო კომისიამ, მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა დოკუმენტი „მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია მსოფლიო ეკლესიაში პირველობის შესახებ“[15], რომელიც რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა მიიღო და დაამტკიცა 2014 წლის 25 დეკემბერს, მაშინ, როდესაც კონსტანტინოპოლი შობას დღესასწაულობდა.

მოსკოვური დოკუმენტი ეჭვის ქვეშ აყენებს ეკლესიაში უნივერსალური პრიმატის ავტორიტეტს და ძირითად მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონულ პრიმატს, ანუ ცალკეულ საპატრიარქოებს. გარდა ამისა, დოკუმენტი ცდილობს მოძებნოს ეკლესიის ორგანიზების სამ დონეზე არსებული პრიმატის წყარო და მოულოდნელად სამივე მათგანისათვის განსხვავებულს პოულობს: *მოციქულებრივი მემკვიდრეობა – ადგილობრივი დონის პრიმატისათვის, სინოდური არჩევა – რეგიონული დონის პრიმატისათვის, ადგილი დიპტიხში – მსოფლიო დონის პრიმატისათვის.*

ამ დოკუმენტის საპასუხოდ, მიტროპოლიტმა ელპიდოფოროს ლამბრიანიადისმა (მსოფლიო საპატრიარქო) 2014 წლის 14

---

[14] კონსტანტინოპოლის წმინდა სინოდმა 1996 წელს ესტონელი მორწმუნეების თხოვნის საფუძველზე აღადგინა ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის კანონიკურ სტატუსში, რამაც 23 თებარვალს მოსკოვის მხრიდან კონსტანტინოპოლთან ევქარისტიული ერთობის შეწყვეტა გამოიწვია (იხ. “телеграма патриарха московского и всея руси Алексия патриарху константинопольскому Варфоломею”, Журнал Московской Патриархии, 3 (1996), 16). მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლის 26 მაისს მოსკოვის საპატრიარქომ აღადგინა ევქარისტიული ერთობა კონსტანტინოპოლთან (იხ., “Определение Священного Синода”, Журнал Московской Патриархии, 6 (1996), 2), ესტონეთის ეკლესიის საკითხი დღემდე დისკუსიის საგნად რჩება.

[15] იხ., “Позиция Московского Патриархата по вопросу о первенстве во Вселенской Церкви”, <http://www.patriarchia.ru/db/text/3481089.html> [12.02.2019]

თებერვალს გამოაქვეყნა სტატია – *Primus sine paribus*[16], რომელ-შიც, მოსკოვური დოკუმენტის საფუძვლიანი კრიტიკის ფონზე, ცდილობს ახსნას მართლმადიდებელი ეკლესიოლოგიის ზოგ-ერთი პრინციპი.

დასახელებულ სტატიაში, რომელიც ძირითადად მიტროპოლიტ იოანე ზიზიულასის საღვთისმეტყველო ნააზრევს ეფუძნება, მიტროპოლიტი ელპიდოფოროსი ხსნის, რომ ეკლესიის ცხოვ-რების მოდელი არის ყოვლადწმინდა სამება, სადაც არსებობს ურთიერთმიმართება ერთსა და ბევრს შორის (მამა – მიზეზი ძისა და სული წმინდისა), ასევე, ეკლესიაშიც ყოველთვის უნდა იყოს დიალექტიკური ურთიერთმიმართება სინოდსა და პრიმატს შორის, მისი ორგანიზაციის ყველა დონეზე, მათ შორის უნივერ-სალურზეც, ხოლო კონსტანტინოპოლის საყდრის პირველობა არის არა დიპტიხების შედეგი, არამედ ეფუძნება ტრინიტარულ ეკლესიოლოგიას, როგორც ამას ეფუძნებოდა რომის პრიმატი დიდ სქიზმამდე[17].

ერთისა და ბევრის დიალექტიკის ამ ეკლესიოლოგიურ ხედვას, ასე მოკლედ და ლაკონურად აყალიბებს თავად მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი: „*სამების ცხოვრებაშიც არის პრიმატი, რამეთუ მამა არის მიზეზი სამების პირთა, საწყისი კეთილი ნებისა და საღმრთო ქმედებისა და მოქმედებისა. ქრისტოლოგიაშიც, შემ-თხვევითი არ არის, რომ ქრისტე იწოდება სხეულის თავად, ან ძმათა შორის პირველად, ან კაცობრიობისა და შესაქმის თავად. როგორც ქრისტოლოგიაში არ არსებობს სხეული თავის გარეშე,*

---

[16] იხ., Lambriniadis E., “First without equals: A response to the text on primacy of the Moscow Patriarchate”, <https://www.ec-patr.org/arxeio/elp2014-01-en.pdf> [12.02.2019].

[17] მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი აღიარებს, რომ ეკლესიოლოგიური პრიმატი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთ საყდარს და ასეთი პირ-ველ ათასწლეულში იყო რომი: „ზიზიულასის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა, რომლის მიხედვითაც, რომს ჰქონდა პრიმატი მხოლოდ დასავლეთში (ანუ პრიმატიების სიმრავლე), მართლმა-დიდებლებისათვის მისაღებია, შეუძლებელია მოიძებნოს საღვთის-მეტყველო საფუძველი უნივერსალური პრიმატის გაყოფისათვის“, Crisan A. M., Persona e comunione, 36.

ასევე ეკლესიოლოგიაშიც. ეს რწმენა ადრეულ ეკლესიაშივე გადაიზარდა ეკლესიის სტრუქტურასა და მოწყობაში სამ დონეზე: ლოკალური, რეგიონული და უნივერსალური"[18].

რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი აქ მოხმობილი დოკუმენტების დეტალური განხილვა არ არის, მაგრამ დასახული სურათი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ საერთო-საღვთისმეტყველო დინამიზმი: მოსკოვი ავითარებს ეკლესიის მოწყობის რეგიონული მოდელის აბსოლუტურობა, რომელიც წარმოადგენს, ერთი მხრივ, ადგილობრივი დონის ეკლესიურობის რედუქციას საეკლესიო წესებამდე (ადგილობრივ დონეზე ეპისკოპოსი არის არა პრიმატი, არამედ მხოლოდ საიდუმლოების აღმსრულებელი, სამოციქულო მემკვიდრეობის ძალით), მეორე მხრივ, უნივერსალური დონის რედუქციას ეკლესიების მეთაურთა ჩამონათვლამდე (უნივერსალური პრიმატი არაფერს ეფუძნება, თვინიერ ისეთი მყიფე სიისა, როგორიც დიპტიხია). კონსტანტინოპოლის მხრიდან კი ვხედავთ თეოლოგიურ ეკლესიოლოგიას, რომელიც ცდილობს, ხაზი გაუსვას უნივერსალურ ეკლესიაში პრიმატის არსებობისა და პრიმატისა და სინოდის დიალექტიკური ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, რადგანაც ეს ურთიერთობა ყოვლად-წმინდა სამების მოდელს ემყარება.

ეკლესიის ისტორიის ბოლო ორი ათწლეულის საღვთისმეტყველო წაკითხვაც კმარა იმის გასაგებად, რომ მოსკოვსა და კონსტანტინოპოლს შორის განხეთქილება არ დაწყებულა უკრაინის საეკლესიო საკითხის გამო, არამედ უკრაინის საკითხი, ერთი მხრივ, არის ლოგიკური შედეგი ეკლესიის უნივერსალურობისა და პრიმატის მნიშვნელობის დამცრობისა, მეორე მხრივ კი, კატალიზატორი უკვე არსებული საღვთისმეტყველო განხეთქილებისა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკრაინის პრობლემამდე, ორი განსხვავებული ეკლესიოლოგიური მიმდინარეობის არსებობის წინაშე დაგვაყენა კრეტის კრებამაც.

---

[18] Zizioulas I., "Foreword", in: Primacy in the Church, The office of Primate and Authority of Councils, II, Contemporary and Contextual Perspectives, Edited by J. Chryssavagis, New York, 2016, 450.

ვფიქრობთ, ამ ფონზე ცხადი ხდება, რატომ შეუძლია მოსკოვს საკუთარ რეგიონულ ინტერესებს შესწიროს საერთო-მართლმადიდებლური ინტერესი და რა ამოძრავებს კონსტანტინოპოლს, როდესაც გვევლინება სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთო-მართლმადიდებლური ინიციატივების პროტაგონისტად.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ისტორია ტრაგიკულად დასრულდება. პროცესი, რომლის კატალიზატორადაც უკრაინის ახალი ავტოკეფალური ეკლესია მოგვევლინა, შეიძლება გახდეს ზოგიერთი მცდარი საღვთისმეტყველო წარმოდგენის გადამუშავების დასაწყისი და რაც ყველაზე საინტერესოა, სხვა ეპოქებისაგან განსხვავებით, ამ განახლებაში ჩართული იქნება ხალხი, ღვთის ერი და არა მხოლოდ ღვთისმეტყველთა და იერარქთა ვიწრო წრე, რადგანაც ინფორმაციულ ეპოქაში, რომელშიც ვცხოვრობთ, ხალხი ხშირად არ ემხრობა საეკლესიო მაგისტერიუმის მიერ დადგენილ გამყოფ ხაზებს. იქნებ, სწორედ უკრაინის ავტოკეფალიით დაიწყოს დაბრუნება სინოდისა და პრიმატის დიალექტიკურ ურიერთმიმართებასთან ეკლესიის ორგანიზების ყველა დონეზე, განსაკუთრებით კი უნივერსალურზე, რადგან, როდესაც ჭრილობები აშკარავდება, აუცილებელი ხდება მათი მკურნალობა.